ხვალ, 23 თებერვალს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა!



ხვალ ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ტრადიციულ დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილი ჩვენი არმია, გამოიწრთო რა რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში, ჩამოყალიბდა როგორც პროლეტარული სახელმწიფოს საიმედო დამცველი ძალა, რომელმაც შეძლო გამკლავებოდა ჰიტლერული გერმანიის თავით ფეხთამდე შეიარაღებულ ურდოებს დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა ადამიანები წელს უკვე 34-ე მშვიდობიან გაზაფხულს ხვდებიან. ამაში კი უდიდესია ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მამაცი მეომრების დამსახურება. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული ჩვენი არმია ის ძალაა, რომელიც თავდასხმის სურვილს უკარგავს ყოველგვარ აგრესორს.

არმია,. ეს პირველ რიგში მეომრები, ჯანმრთელი და ჩაუქი ადამიანებია. თუ გსურს იყო ძლიერი და მოქნილი, გამჭრიახი და მოხერხებული, უნდა იმეგობრო ფიზკულტურასთან, სპორტთან.

სწორედ ამის შესახებ მოგითხრობენ დღეს გაზეთ „ლენინსკაია ზნამიას“ ჟურნალისტები „ლელოს“ მე-2 გვერდზე დაბეჭდილ მასალებში.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მძლავრი ტექნიკა უნარიან ხელში მრისხანე იარაღია ნებისმიერი აგრესორის წინააღმდეგ; საპარაშუტო სპორტი მამაცთა ხვედრია.

ვ. აბულაძის ფოტოები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 37 (6348)

1979 წ.
22 თებერვალი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 20 თებერვალი.

მსოფლიოს მშვიდობისთვის

ოლიმპიური ჩემპიონები რენატე შტეჰერი და როლანდ მათესი ამ დღეებში მიწვეულნი იყვნენ ბერლინის რესპუბლიკურ სასახლეში მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საბჭოს საგანგებო სხდომაზე. სპორტის ამ ორი წარმომადგენლის აზრს ძირითად საკითხებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

— მე განსაკუთრებული შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფები, — თქვა რენატე შტეჰერმა, — ამ ფორუმში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია. მეტად სასიამოვნოა, რომ პრობლემური საკითხები პრინციპულად, მთელი სიმწვავით იყო წამოჭრილი. შეკრებილებმა, მიუხედავად ზოგიერთების აზრთა სხვადასხვაობისა, ერთსულოვნება გამოამჟღავნეს, რათა ძირშივე აღიკვეთოს რასიზმის ყოველგვარი გამოვლინებები და კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში. ნათელია, რომ საყოველთაო მშვიდობის დამყარებისა და კაცობრიობის ნათელი მომავლის გარანტიებისთვის საჭიროა აღიკვეთოს მასობრივი განადგურების ყოველგვარი იარაღი. ამ ბრძოლაში ჩვენ, სპორტსმენები განზე არ ვდგავართ, რადგან ვიცით, რომ მშვიდობა აუცილებელი წინაპირობაა სპორტის საერთო განვითარებისთვის.

ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ სპორტის დანიშნულებაა მოაწესრიგოს და ნორმალური გახადოს ქვეყნებს შორის ურთიერთობა, განამტკიცოს მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა. ოლიმპიურ მოძრაობაში მრავალი ქვეყანაა გაერთიანებული, მიუხედავად მსოფლმხედველობისა, პოლიტიკური, რელიგიური თუ რასობრივი განსხვავებისა. წმიდათაწმიდა ოლიმპიური პრინციპების დარღვევის უფლება არც ერთ ქვეყანას არა აქვს. იმათთვის, ვინც რასისტულ რეჟიმს ახორციელებს, ისე როგორც ეს სამხრეთ აფრიკაშია, ოლიმპიური სარბიელი დახშული უნდა იყოს.

დიდი ინტერესი გამოიწვია განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი კილანინი ანტიაპარტეიდის კომიტეტის საქმიანობაზე აზრთა გაცვლა-გაზიარების მიზნით უახლოეს დღეებში შეხვდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კურტ ვალდჰაიმს.

ნიუ-იორკიდან მოვიდა ცნობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მსოფლიოს ჩემპიონს მუჰამედ ალის ახასიათებს, როგორც „მშვიდობის მოციქულს“. პროფესიონალი მოკრივე მუჰამედ ალი ის ადამიანია, რომელიც არა მარტო რინგზე იბრძვის, არამედ — ცხოვრებაშიც, მსოფლიოს მშვიდობისთვის. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ალიმ გადაჭრით გაილაშქრა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები პატივს სცემენ მშვიდობის დამცველ სოციალისტურ ქვეყნებს. ჩვენს დროში მშვიდობა სულ უფრო უკავშირდება სოციალიზმის მცნებას. მაგალითისათვის ავიღოთ სპორტული სფერო: მშვიდობის ველორბოლა, მშვიდობის სტადიონი, მშვიდობის მარათონი... ესენი მარტო სიმბოლური სახელები როდია, მათ უკან მოწოდება გაისმის: მშვიდობა მსოფლიოს!

მ. ალი: რასისტები იზოლირებულნი უნდა იყვნენ

გამოჩენილმა ამერიკელმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ ნიუ-იორკში განაცხადა, რომ საერთაშორისო კამპანია აპარტეიდული დანაშაულებათა ლიკვიდაციისა და სამხრეთაფრიკული რასისტული რეჟიმის სრული იზოლაციისთვის სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეს იძენს. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები ურთიერთობა ვიქონიოთ რასისტულ ქვეყნებთან, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის აპარტეიდულ სახელმწიფოებთან.

მუჰამედ ალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზიდენციაში ანტიაპარტეიდული კომიტეტის თავმჯდომარის ლასლო ო. ჰარიმანის (ნიგერია) თანხლებით იმყოფებოდა. აქ ისინი აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციისა და სამხრეთ აფრიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

„ინქემშენი“ — „განთიადის“ ჩემპიონი

ტყიბულში ჩატარდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების გუნდებს შორის. შეჯიბრებაში, რომელიც სპორტსაზოგადოებათა საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა, 8 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა „ინქემშენის“ კოლექტივმა, რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო ყველა შეხვედრა. II ადგილი ხვდა ტყიბულის № 2 შახტის, ხოლო III — გორის ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის გუნდებს.

ჯ. ქელეხსაშვილი.

ქალთა დაფებზე გადაწყდა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭადრაკეები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ბაქოს საჰაერო თავდაცვის ნაკრებ გუნდთან შეხვედრაში, რომელიც გუშინწინ შედგა თბილისში მიმდინარე სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდური პირველობის ზონალური ტურნირის V ტურში. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3,5:3,5.

ამ შეხვედრის ბედი ქალთა დაფებზე გადაწყდა. გრძელიშვილი დამარცხდა მალჩიკოვთან, კორსუნსკი — ყანზაველთან, ხოლო ჩეჩელიანი დაუზავდა გავაშელაშვილს, ლპუტიანი — თავადიანს, იზვოზჩიკოვი — აკოფოვს. მატჩი გააყაიმეს ნ. გაფრინდაშვილმა და გ. ალიხანაშვილმა. პირველმა სძლია სარქისიანს, მეორემ — იზრაელოვას.

სხვა შეხვედრების შედეგები: მოსკოვი — კიევი 5,5:1,5, ოდესა — მოსკოვი (საჰაერო თავდაცვა) 4,5:2,5, ბელორუსია — ბალტიისპირეთი — 4,5:2,5.

5 ტურის შემდეგ ლიდერობს მოსკოვის საჰაერო თავდაცვის კოლექტივი — 24 ქულა.

ო. ალხანიშვილი.
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღეა

„ლელოს" სტუმარია გაზეთი

За нашу Советскую Родину!

ЛЕНИНСКОЕ ЗНАМЯ

ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 8 СЕНТЯБРЯ 1918 ГОДА

არმიელთა დიდი სტარტები

გვესაუბრება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერი ვიქტორ პრუსაკოვი.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოველთვის დიდი ყურადღებითა და სიყვარულით სარგებლობდა საბჭოთა არმიაში. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ქვეყნის ნაკრები გუნდების შემადგენლობებში არმიელ სპორტსმენთა საკმაოდ დიდი რაოდენობა და მნიშვნელოვანი გამარჯვებები. ჰელსინკის 1952 წლის XV ოლიმპიურ თამაშებში, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენები, ბევრი მათგანის მკერდს სპორტულ ნიშნებთან ერთად სამშობლოს საბრძოლო ჯილდოებიც ამშვენებდა...

ამიერკავკასიის ოლქის ნაკრები გუნდების შემადგენლობებში ჩვენმა სპორტსმენებმა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში 1978 წელს მოიპოვეს 235 მედალი, აქედან 91 ოქროს, 80 ვერცხლისა და 64 ბრინჯაოსი. ოლქის სპორტსმენებმა შარშან სრულიად არმიელთა შეჯიბრებებზე 7 სახეობაში (ძიუდო, კრივი, სამბო, ალპინიზმი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ტანვარჯიში) მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

ჩვენი გუნდების მონაწილეობის მიხედვით სრულიად არმიელთა შეჯიბრებებში ამიერკავკასიის ოლქი გავიდა საერთო X ადგილზე. უკეთესი მაჩვენებლები გვაქვს ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობის მხრივ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელშიც III ადგილზე გამოვედით. რაც შეეხება მეორე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებს, აქ ოლქებს, ფლოტებსა და ჯარების ჯგუფებს შორის პირველ ადგილზე ვართ. სახმელეთო ჯარების შეჯიბრებებში ე. წ. დიდი სპორტის განხრით ჩვენ კვლავ პირველ ადგილზე ვიმყოფებით, ხოლო საერთო ჯამში მესამე საპრიზო ადგილზე, რაც არასდროს ყოფილა ოლქის ისტორიაში. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ 1977 წელს მხოლოდ მე-14 ადგილზე ვიმყოფებოდით. 1978 წელს ოლქში მომზადებულია სსრ კავშირის 37 სპორტის ოსტატი და 10 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ოლქში ჭიდაობა (მისი ყველა სახეობა), სროლა და ტანვარჯიში. სწორედ ამ სახეობებში შეაქვთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებს თავისი გარკვეული წვლილი საბჭოთა გუნდების საერთო წარმატებებში. ვის არ გაუგონია ძიუდოისტების, უმცროსი ლეიტენანტის რამაზ ხარშილაძის (95 კგ), სამხედრო მოსამსახურის გურამ გოგოლაურის (57 კგ), პრაპორშჩიკ ამირან ობგაიძის (65 კგ), კლასიკური სტილის მოჭიდავის, ზემსახურის უმცროსი სერჟანტის ავთანდილ მაისურაძის (100 კგ-ის ზევით), ტანმოვარჯიშეების — სამხედრო მოსამსახურის მალხაზ თათარაძისა და რიგითი ჯარისკაცის ედუარდ აზარიანის სახელები.

კარგად გამოდიან ჩვენი სპორტსმენები საბჭოთა სპორტის უდიდეს დათვალიერებაზე — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზეც. განსაკუთრებით ისახელეს თავი რამაზ ხარშილაძემ და ლინა გრუზდევა-ქურულმა (ტყვიის სროლა), რომლებმაც სპარტაკიადის ჩემპიონების ოქროს მედლები მოიპოვეს.

წლევანდელი VII სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობებში 100-მდე არმიელი სპორტსმენი ემზადება. მოსკოვის სტარტებში გამოსვლისათვის კარგი შანსები აქვთ ძიუდოისტებს ო. ზურაბიანს, თ. ხუბულურს, რ. ხარშილაძეს, ა. წიკლაურს, ბ. გუგავას, მ. გოგოლაურს, კლასიკური სტილის მოჭიდავეებს ნ. ბაბიაშვილს, ა. მაისურაძეს, მსროლელებს გ. თავდიდიშვილს, ვ. სულაქველიძეს, ე. აბაჯიანს, სამბისტებს ა. მუზაევს, ა. ოქროპირიძეს, დ. ბოდაველს, ბ. ზურაბიშვილს, ტანმოვარჯიშეებს მ. თათარაძეს, ე. აზარიანსა და სხვებს.

ყოველი მათგანი ამ დიდი შეჯიბრებისთვის განსაკუთრებით ენერგიულად ემზადება, რაშიც მათ დიდად უწყობენ ხელს გამოცდილი არმიელი მწვრთნელები — მაიორები ს. ჩიტაშვილი (სამბო) და ვ. ერმიშიანი (სროლა), პრაპორშჩიკი ლ. ხარტიშვილი (კლასიკური ჭიდაობა), სამხედრო მომსახურენი ნ. გოგოლაური (ძიუდო) და ო. მიქელაძე (ტანვარჯიში).

...VII სპარტაკიადამდე ბევრი დრო არაა დარჩენილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოლქის საუკეთესო სპორტსმენები კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ღირსეულად წარსდგნენ საბჭოთა სპორტის დიდ ფორუმზე!

ხშირად მებრძოლები დამოუკიდებლად ვარჯიშობენ, რათა უფრო ღონიერნი გახდნენ.

უძლიერესებთან ჭიდილში

ტანვარჯიშის უდიდესი თაყვანისმცემელი, არმიის სპორტული კლუბის წევრი მალხაზ თათარაძე ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ასაკში ადამიანს შეუძლია ვარჯიშით არა მარტო რკინისებური კუნთები დაიყენოს და აკრობატულ სიმარჯვეს მიაღწიოს, არამედ გამოიმუშაოს მოწიფული ვაჟკაცის ნებისყოფა.

ახალგაზრდობის მიუხედავად, მალხაზს უკვე აქვს სპორტული ბრძოლების გამოცდილება. ყველაზე მეტად მას დაამახსოვრდა ასპარეზობა ბულგარეთში, სადაც თავი მოიყარეს სოციალისტური ქვეყნების არმიების უძლიერესმა ათლეტებმა. აქ სპორტსმენმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ თათარაძისთვის ჯილდოზე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება.

— საზღვარგარეთ მშობლიური კედლები არ გეხმარებოდათ. რამ შეგაგულიანათ წარმატებით გამოსვლისთვის? — ვკითხეთ სპორტსმენს.

— მართალია, მშობლიური კედლები არ იყო, მაგრამ მას ცვლიდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. მე ვიცავდი არა რომელიმე კოლექტივის, არამედ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სპორტულ ღირსებას.

მაგრამ მაინც, რაც უნდა ნავარჯიშევი იყოს სპორტსმენი, როგორი ძლიერი ნებისყოფისაც უნდა იყოს იგი, უპირველესად ადამიანია და ყოველგვარი ადამიანური გრძნობა მისთვის უცხო არ არის. დიახ, არ არის უცხო ისეთი ემოციები, როგორიცაა ეჭვი, მკაცრი გამოცდის განჭვრეტის განცდები და იმედის გაცრუების შიში, რომელიც ჩვეულებრივ აღეძვრება ადამიანს.

აი, ასეთ გრძნობებს განიცდიდა მალხაზ თათარაძე შარშან ტანმოვარჯიშეთა საკავშირო თასის გათამაშებაზე დონეცკში წასვლის წინ (ეს გათამაშება ერთდროულად ქვეყნის ჩემპიონატიც იყო). მაინც რა იყო ასეთი უსიამოვნო ემოციების მიზეზი? როგორც ჩანს, ახალგაზრდა სპორტსმენზე ფსიქოლოგიურ გავლენას შეჯიბრების მონაწილეთა შემადგენლობა ახდენდა. დონეცკში გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ სახელგანთქმულ ვარსკვლავებს — სსრ კავშირის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონებს ნ. ანდრიანოვს, ა. დიტიატინს, ა. ტკაჩოვს და სხვებს.

და აი, გამოდის თათარაძე. დონეცკის სპორტის სასახლეში მოსული ტანვარჯიშის ასობით მოყვარული თვალს ადევნებს მის ყოველ მოძრაობას. შესრულდა ბჯენითი ხტომა. ძნელია სიტყვებით გადმოვცე, თუ როგორ გაკეთდა ეს. ყოველგვარ სიტყვაზე მჭევრმეტყველური იყო აპლოდისმენტების გამაყრუებელი გუგუნი. აღტაცებული მაყურებლები ტაშს უკრავდნენ მამაცობას, აკრობატულ ვირტუოზობას, ელეგანტურობას, როგორითაც ქართველმა სპორტსმენმა შეასრულა ვარჯიში. არბიტრებმა ღირსეულად შეაფასეს თათარაძის ოსტატობა და მას ოქროს მედალი მიაკუთვნეს.

ტყუილად კი არ ამბობენ „მადა ჭამაში მოდისო". ასეთი სპორტული „მადა" მოუვიდა თათარაძეს დონეცკის შეჯიბრებაში. მეორე ოქროს მედლით იგი დაჯილდოვდა „ტაიჭზე" ვარჯიშის გამო.

მიწყნარდა ოვაციები. სასიამოვნო მოსაგონებლად დარჩა თბილი სიტყვები, ამხანაგების, მწვრთნელების მილოცვები. უცვლელად დარჩა მხოლოდ ერთი: სპორტსმენის მკაცრი რეჟიმი და ვარჯიში. აბა სხვაგვარად ხომ არ იქნება — მალხაზ თათარაძე სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე გამარჯვებას უმიზნებს. შემდგომში კი — მოსკოვის ოლიმპიადაზეც. ახლა სწორედ ეს არის მისი ოცნება.

ვ. გალაიკო,
ლეიტენანტი.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეძლო სამსახური, საჭიროა გაწაფული იყო ათასგვარი დაბრკოლების გადალახვაში, უნდა შეგეძლოს ციცაბო კლდეების დაძლევაც.

ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ვარჯიშით, როგორც ნამდვილი, ისე ხელოვნური დაბრკოლებების გადალახვის ტექნიკის გამომუშავებით.

სურათებზე: მიმდინარეობს ინდივიდუალური მზადება.

ცა უხმობს

ყველაფერი დაიწყო სტავროპოლში:

რომანტიკის მოყვარულმა ბიჭებმა კოლკა უშმაევი ადგილობრივ აეროკლუბში მიიყვანეს. დიდი ინტერესით ადევნებდა იგი თვალს, თუ როგორ ხტებოდნენ პარაშუტით გამოცდილი სპორტსმენები. შემდეგ მისი პირველი ნახტომიც შედგა. მას მოჰყვა მეორე, მესამე..., ხოლო როცა 30-ე „საიუბილეო" ნახტომი შეასრულა, სამხედრო კომისარიატიდან უწყება მოვიდა. და აი, დაიწყო ჯარისკაცისა და სპორტსმენ-პარაშუტისტის ნიჭის ჭეშმარიტი გაფურჩქვნა.

ჟურნალისტებს არაერთხელ უკითხავთ მისთვის — რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად? უძნელდებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ცისფერ ოკეანესთან პირისპირ ყოველი შეხვედრა ერთმანეთისგან განსხვავდება და თითოეული მათგანი დიდხანს გამახსოვრდება. და მაინც, არ შეიძლება არ გამოიყოს იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში.

შეჯიბრებაში 25 ქვეყნის 188 პარაშუტისტი მონაწილეობდა და მათ შორის პირველი იყო არმიელი ნ. უშმაევი. ზაგრებიდან რადიოთი და ტელევიზიით მსოფლიოს მოედო ცნობა: „პრაპორშჩიკმა ნიკოლოზ უშმაევმა ყველაზე უკეთ შეასრულა 2000 მეტრი სიმაღლიდან თავისუფალი ვარდნის დროს აკრობატული ფიგურების სერია და ოქროს მედალი დაისაკუთრა".

ამგვარად, მებრძოლი-სპორტსმენი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

აი, მეორე ასპარეზობაც — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ბოლო პირველობა. წილისყრით უშმაევი პირველი უნდა გადამხტარიყო, რაც, როგორც ცნობილია, არახელსაყრელია სპორტსმენებისთვის.

ხუთჯერ გადმოხტა ნიკოლოზი თვითმფრინავიდან და ხუთივეჯერ უმაღლესი შეფასებით — ნული. უნდა ითქვას, რომ მას არ ჩამორჩებოდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. ჩურკო, ვ. ბოგდანოვი და ნ. სკრიპკინი და თითოეულ მათგანს ნულოვანი შედეგი ჰქონდა. იშვიათი შემთხვევა მოხდა საქართველოს ცაში. ოთხივე სპორტსმენმა ზედიზედ 20 ნახტომი შეასრულა ზუსტად წრის ცენტრში.

მაშინ პრაპორშჩიკმა ნ. უშმაევმა მაინც შეინარჩუნა ლიდერის როლი. მან ორი ვარჯიშის (2200 მეტრი სიმაღლიდან ერთეულთა ყოვნით ხტომები ჰაერში ფიგურების სამი კომპლექსის შესრულებით და 1000 მეტრის სიმაღლიდან ზუსტად დაშვებაზე ერთეულთა ხტომები) ჯამში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

უმაღლესი ქულით შეფასებული სხვადასხვა სიმაღლეებიდან ათასობით ნახტომი შეასრულა უშმაევმა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, მეგობრული არმიების პირველობაზე ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთის მსოფლიოს XII ჩემპიონატში...

ცა კი მუდამ უხმობს. გრძელდება სპორტული ბიოგრაფია.

მარგარიტა ტეკლოვა.

●

სურათზე: პრაპორშჩიკი ნ. უშმაევი. ვ. აბულაძის ფოტოები.

4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

მისხალ-მისხალ, მოთმინებით, და ყოველდღიური შრომით

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლამარა ჭყონია დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქში.

ათასი გზაა ცხოვრებაში. გადის დრო და ერთ მშვენიერ დღეს კაცი ამ ათასიდან ერთს ირჩევს, მერე მისდევს კიდეც, თუ, რა თქმა უნდა, ეს არჩევანი სრულად აკმაყოფილებს მის ნიჭს, მოთხოვნილებებს.

ერთი კი არის, რა გზასაც არ უნდა დაადგე, საკუთარი ხნულის გასავლებად ბევრი რამეც უნდა დაივიწყო, ბევრიც მოიკლო და, იმ ერთადერთ საყვარელ საქმეს მოახმარო დროც, უნარიცა და ენერგიაც.

ყველანაირი პროფესია თავისას ითხოვს — თანდაყოლილ ნიჭს, შრომას; ყველანაირ პროფესიას თავისი კანონები აქვს, ბევრი აკრძალვასაც გულისხმობს, არა ერთსა და ორს, ხშირად ისეთსაც, ჩვეულებრივი კაცისთვის წარმოუდგენელიც რომ არის.

სამი თუ ოთხი წელიწადი ვოკალისტებთან უშუალო სიახლოვეს მომიხდა მუშაობა. ასე იოლად რომ წარმომედგინა ყველაფერი, სულ მალე დავრწმუნდი — მაინცდამაინც ვერაფერი შესაშური პროფესია ჰქონიათ: ზამთრობით ქუჩაში ვერ დაელაპარაკები — ხმას არ გაგცემს, ღვინოს არ სვამს, ცივ წყალს არ სვამს, გაოფლიანება არ შეიძლება, ნაყინის ჭამა არ შეიძლება, ბევრი ლაპარაკიც არ შეიძლება. ცნობილი იტალიელი მომღერალი მარიო დელ მონაკო სპექტაკლისწინა სამი დღე თურმე ცოლსაც კი არ ელაპარაკებოდა.

როგორც კი რედაქციის არჩევანი სსრ კავშირის სახალხო არტისტზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ლამარა ჭყონიაზე შეჩერდა, კოლეგებმა დრო მიხელთეს: „ოპერის თეატრის „მუდმივი კლიენტი“ ვარო, რომ ტრაბახობ, ეგე ქაღალდი და ეგი კალმისტარიო. კი, ბატონო-მეთქი, დავთანხმდი. მერელა მივხვდი, რა ტვირთიც ვიკისრე. ცალ მხარეს — მომღერალი ქალი, მეორე მხარეს — სპორტული გაზეთი. ერთთავად ფეხბურთზე თუ ჰოკეიზე საუბარი არ ივარგებდა, არადა, არც უსპორტოდ მოევლებოდა საქმეს. კარგა ხანს ვიწვალე და, თავი რომ ვეღარ მოვაბი, ისიც კი ვიფიქრე, რა დიდი ცოდვაა წელიწადში ერთხელ მაინც „ლელოში“ საოპერო ხელოვნებაზე საუბარი-მეთქი. მერელა გამახსენდა მომღერლის მკაცრი რეჟიმი, იმაზე მკაცრი, სპორტსმენებს რომ აქვთ და გამეხარდა — ცოტა არ იყოს, მცირე, მაგრამ მაინც საერთო მოვუნახე მოღვაწეობის ამ ორ, კარგა შორი-შორ მდგარ სფეროს.

• • •

სამუშაო დღე 10 საათზე იწყება. 2 საათი პარტნიორებთან შემღერება. 1-დან 4 საათამდე მიზანსცენები დარბაზში. მერე დასვენება და საღამოთი, უკვე შინ, ერთიორი საათი ვოკალიზები. ეს ყველაფერი არაა — ქალიშვილთან, ნათელასთან ერთად (კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი, V კურსი) მუსორგსკის ციკლი „საბავშვო“.

მისხალ-მისხალ, მოთმინებითა და ყოველდღიური ვარჯიშით იხვეწება თითოეული პარტია. ლამარა ჭყონიას რეპერტუარში ასეთი რამდენიმე ათეულია.

ცუდია ის სპორტსმენი, ზღვარს რომ მოინიშნავს, მიაღწევს ამ ზღვარს და შეჩერდება — მე ჩემი ვთქვიო. ძალზე ბევრს ჰკარგავს ხელოვანი, მსახიობი, როცა ერთხელ გააზრებულ სახეს, გმირის ხასიათს ამოწურულად დაიგულებს, აღარ მიუბრუნდება, აღარ დაიწყებს ახალი ნიუანსებისა და ფერადების ძებნას.

— სექტემბერში ოპერის თეატრის სცენაზე კვლავ დაბრუნდა როსინის „სევილიელი დალაქი“. როზინას პარტია თითქოსდა ბევრ არაფერს მოითხოვდა ჩემგან — არა ერთხელ და ორჯერ მქონდა ნამღერი სცენაზე. მაინც ახალი სამზერიდან შევხედე. არც წავაგე. ჩემი დღევანდელი როზინა საკმაოდ განსხვავდება ადრინდელისგან — უფრო ახალგაზრდაა, ნაკლებ აგრესიული, ხალისიანი, გულწრფელი. რა თქმა უნდა, მარტოკაცი ამდენს ვერ შეიძლებს, ეს ყველაფერი დირიჟორთან, რეჟისორთან, ახალ პარტნიორებთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა, დაიხვეწა. მარტის ბოლოს „ტრავიატას“ პრემიერაა განსაზღვრული. ვფიქრობ, რაიმე ახალი შევმატო ვიოლეტას სახესაც.

წარმატება არასდროს მოდის თავისით. წარმატება, სპორტსმენისა იქნება თუ ხელოვანის, უამრავი კომპონენტითაა განპირობებული. ამ კომპონენტთაგან ნიჭი მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა.

— მთავარი პროფესიონალიზმია. ეს სიტყვა ბევრისმომცველია და კვებიდან მოყოლებული რწმენით გათავისებული უამრავ წვრილმან თუ მნიშვნელოვან მომენტს მოიცავს. დავიწყოთ კვებით. რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც უნდა ვთქვა, მომღერლის პროფესიიდან გამომდინარე, საკუთარი გამოცდილებით იქნება ნაკარნახევი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ იგივე პრობლემები თუ საკითხები, სხვა ნებისმიერ პროფესიებსაც სდევდეს თან. მომღერალმა იმდენი უნდა ჭამოს, რომ არ გასუქდეს — სიმსუქნე სუნთქვას უშლის, ტვირთად აწვება გულს, მაგრამ უჭმელობაც არ ვარგა, ზედმეტი სიგამხდრე ძალას უკარგავს, სიმღერას კი ენერგია სჭირდება. გააჩნია ასაკსაც. ის, რაც 40 წლამდე კარგია, მერე ხელისშემშლელადაც შეიძლება იქცეს. ანდა ჩაცმულობა. ერთი შეხედვით წვრილმანი საკითხია. ამ წვრილმანს კი სერიოზული შედეგები მოსდევს. წინააღმდეგი ვარ შეფუთვის (არადა ასეთებს, განსაკუთრებით ვოკალისტებს შორის, არც თუ იშვიათად შეხვდებით). კაცი ისე უნდა იცვამდეს, არც სციოდეს და თავისუფლადაც იყოს. ზედმეტი შეფუთვა, იმის გარდა, რომ არაბუნებრივი და არაესთეტიკურია (ზოგი სწორედ ასე ზრდის ბავშვებს, აქაოდა, მზრუნველობას ვიჩენ, ვუფრთხილდებიო), ხშირ გაციებასაც იწვევს. ორგანიზმი რომ დატვირთვისთვის მზად იყოს, ვარჯიშია საჭირო, წინასწარი, შესამზადებელი. პიანისტისთვის გამებია ასეთი ვარჯიში, მომღერლისთვის — ვოკალიზები, სპორტსმენისთვის — მოთელვა. ძირითადი საქმიანობის გაუხურებლად დაწყება ხმის აპარატის გადატვირთვას, „პროფესიულ ტრავმებს“ იწვევს, თუ არ ვცდები ასევე ხდება სპორტშიც. შეგნებულად ვუვლი გვერდს ბუნებრივ მონაცემებს, ნიჭს. სიმღერაში ეს ნიჭი ძლიერ, ლამაზ ხმასა და მუსიკალობას გულისხმობს. მაგრამ ყველაფერ ამას იმიტომაც ჰქვია თანდაყოლილი, რომ თანდაყოლილადვე, იმავე დონეზე (ბუნებრივია არასაკმარისზე) რჩება, თუ არ განვავითარეთ, არ დავხვეწეთ. მთავარი მერე იწყება. სიმღერა ფსიქო-ფიზიკური მოვლენაა. ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ მომენტებს ეყრდნობა — ტექნიკა, გამოცდილება, ძალა, რწმენა. ეს ყველაფერი ვარჯიშის შედეგად მოდის. სცენური თავისუფლება, ნაკლებ ღელვაა საჭირო. თუნდაც, აი, ეს მაგალითი: 1957 წელს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე პირველად ვიმღერე „დაისში“. ჩემი პარტნიორი ზურაბ ანჯაფარიძე იყო. დებიუტის კვალობაზე ურიგოდ არ მიმღერია, მაგრამ როგორც სპორტსმენები იტყვიან, ზედ ფინიშთან წავიფორხილე — ზურაბის პირველივე ფრაზაზე „გშორდები, ტურფავ“ ბურთი გამეჩხირა ყელში და „მართლა“ დავიწყე ტირილი. სულ დამავიწყდა, რომ მალხაზის არიის შემდეგ „მაროს ტირილი“, ვოკალურად ერთ-ერთი რთული არია მელოდა. მერე ჩემი რიგიც დადგა და... იმ მოკლე დროში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ყელის გათავისუფლება, გრძნობისა და განცდებისგან თავის დაღწევა. მომღერლის ვალი ხომ მუსიკალური ტირილია და არა ნამდვილი. მეორე დღეს ერთ-ერთ გაზეთში ვკითხულობ: „ამ დიდი მონაცემების მქონე მომღერლისთვის ვფიქრობთ, ძნელი არ იქნება ცნობილ „ტირილში“ მეტი სითბოს ჩაქსოვა, რაც, საერთოდ, მას არ აკლია“. რა თქმა უნდა, გამოუცდელობით გამოწვეული ეს წაფორხილება უკვალოდ არ გამქრალა. წლების მანძილზე მეძნელებოდა „მაროს ტირილი“. მასწავლებელი და დამრიგებელი ჩვენც, მომღერლებსაც გვყავს, მაგრამ მაინც შურით შევცქერით ხოლმე სპორტსმენებს — საკუთარი მწვრთნელები, ექიმები, ფსიქოლოგები... რამდენი დასდევთ კუდში. მომღერალს კაცი არ მიჰყვება გასტროლებზე და ფაქტიურად თავისი თავის იმედზეა.

ლა-სკალაში დებიუტის შემდეგ აურელიანო პერტილეს ოქროს პორტსიგარები დააყარეს. მომღერალს დიდი წარმატება ხვდა. კულისებში კი პერტილეს მაესტრო ასეთი სიტყვებით შეხვდა: „კიდევ ათი წლის მეცადინეობაა საჭირო“.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე თბილისის ოპერის თეატრის კარი ბევრმა ახალგაზრდა ვოკალისტმა შეაღო. თეატრში მივიდნენ ისინი, ვისაც სულ მალე მოუწევს ქართული ვოკალური ხელოვნების მძიმე ტვირთის ტარება. ახალგაზრდები მოდიან ყველგან, ყველა სფეროში და ის, თუ როგორი იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე, ბევრად არის დამოკიდებული მათზე. ლამარა ჭყონიას, როგორც ადამიანსა და როგორც ხელოვანს უნდა აწუხებდეს და აწუხებს კიდეც ამ ახალი ტალღის ფიქრი იქნება, საქმე თუ მიზანი.

— უიმედოდ ძნელია ცხოვრება. ანზორ ფიოლიას, ლიანა კალმახელიძის, ელდარ გეწაძის, ჯემალ მდივანის და კიდევ რამდენიმეს სახით ოპერის თეატრს საიმედო ცვლა მოუვიდა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ხვალინდელი, უფრო სწორად კი, დღევანდელი დღეც არის. მაგრამ მეტია საჭირო. თუმცა, მარტო ახალგაზრდობაც, მონაცემებიც ბევრს არ ნიშნავს. რატომღაც მომრავლდნენ ისეთებიც, გაკეთებით რომ არაფერი გაუკეთებიათ, ჯერ მხოლოდ მუშაობა, ოფლისღვრა რომ სჭირდებათ და უკვე ბევრს მოითხოვენ, პრეტენზიები უჩნდებათ. ასეთების მომავალს ეჭვის თვალით ვუყურებ. ყველაფერზე მუშტრის თვალით ცქერა, ყველაფრის საკუთარი სარგებლობისთვის გამოყენება, ნიჭის ავანსად იმის მოთხოვნა, რაც არ დაგიმსახურებია, სახიკეთოს არაფერს მოუტანს არც ახალგაზრდა ხელოვანსა და, ვფიქრობ, არც დამწყებ სპორტსმენს.

სპორტი ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. სპორტი სილამაზეა, სპორტი ძალაა, სპორტი ეროვნული სიამაყეა. ყველა პროფესიის ადამიანს, როგორი დაკავებულიც არ უნდა იყოს, დროის რაღაც ნაწილი, ყურადღების რაღაც ნაწილი სპორტისკენ აქვს მიმართული.

— როგორ არ ვიამაყო ჩვენი მოჭადრაკე ქალების წარმატებებით. მე თვითონ ვთამაშობ ჭადრაკს (ლამარა ჭყონია დედაქალაქის ხელოვნების მუშაკთა ჩემპიონია) და ალბათ ამ სიყვარულისა იყო, ჩემი და ჩემი მეუღლის შვებულების დრო ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის მატჩის დროს ,რომ დავამთხვიეთ. მთელი ოჯახით ვისვენებდით გაგრაში, ჩავდიოდით ბიჭვინთაში, ვესწრებოდით პარტიებს, მერე კი შინ ვარჩევდით. იქნებ უცნაურიც იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ჰოკეი — დინამიურობისთვის, სიტუაციების სწრაფი ცვლისთვის — მომწონს, და რაღა თქმა უნდა, ფეხბურთი. ბოლო ხანებში უფრო მიმზიდველი გახდა. ეტყობა ისიც დინამიურობის ხარჯზე. შეიძლება ვცდებოდე კიდეც, მაგრამ ზუსტად თქმა მაინც მეძნელება — თვითონ ფეხბურთი შეიცვალა თუ ჩემი დამოკიდებულება. შეიძლება იმის „ბრალიც“ არის, რომ მეტად თვალსაჩინოა თბილისის „დინამოს“ წარმატებები. ერთი, რა თქმა უნდა, არასპეციალისტისა და ერთობ უპრეტენზიო გულშემატკივრის მოსაზრება ამ წარმატებებზე. „დინამოს“ საუკეთესო მატჩები უთანაბრდება ევროპულ სტანდარტებს. ერთი სურვილი მაქვს: ძალიან მინდა, რომ მისი თამაშის საშუალო დონე გაუთანაბრდეს აი, იმ ევროპულ სტანდარტს. ზუსტად ასეთი იყო ჩემი მთავარი მიზანი სცენაზეც, რამდენად შევძელი, არ ვიცი, მაგრამ მიზანი ეს იყო...

ი. ბერიაშვილი.

გასროლის ნაცვლად ოპტიკური ნიშანი

სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებით სპორტშიც მრავალი სიახლე შემოდის. ეს სიახლეები სპორტის ამა თუ იმ სახეობას მაყურებელთათვის უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. ტექნიკის მიღწევები შეჯიბრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებსაც უადვილებენ საქმიანობას.

ახლო წარსულში მორბენალთათვის სტარტის მისაცემად ხმამაღლა მოლაპარაკე და ხმის გამაძლიერებელ აპარატურას იყენებდნენ, მაგრამ ეს მეთოდი გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ადვილი შესაძლებელი იყო სპორტსმენს იგი ვერ აღექვა, ვერ გაეგო. მოგვიანებით ეს ხმის გამაძლიერებელი აპარატურა შეიცვალა უფრო ეფექტური საშუალებით, როგორიცაა სასტარტო გასროლა, რამაც ერთგვარი აღიარება მოიპოვა, მაგრამ 1977 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების დროს, როდესაც სახელგანთქმულმა კუბელმა სპორტსმენმა ალბერტო ხუანტორენამ სტადიონის თავზე გადაფრენილი თვითმფრინავის ხმაურში ვერ გაიგონა სასტარტო გასროლის ხმა, მაშინ გავიფიქრე, ხომ არ აჯობებდა გასროლით სტარტის მიცემას ოპტიკური სტარტ-სიგნალი?

ეს ოპტიკური სტარტ-სიგნალი შეიძლება განხორციელდეს ორი ნათურის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ მორბენლის წინაა დამაგრებული. გარკვეულ მომენტში სასტარტო მოწყობილობის ნათურები აინთებიან, რაც იგივე სტარტს ნიშნავს. მაგრამ ერთი ამნაირი სასტარტო მოწყობილობის დამზადებისათვის საჭიროა ხარჯები, კაბელი, ნათურები, ჩამრთველები და სხვა. მათ მოქმედებაში მოსაყვანად დროცაა საჭირო, რასაც პისტოლეტი არ საჭიროებს. ასევე გარკვეული დრო იხარჯება მოწყობისა და გადაკეთებისათვის (მაგალითად 100 მ-დან 400 მ დისტანციისათვის). მაგრამ ვნახოთ ამ სიახლეს რა უპირატესობა და ნაკლოვანებები აქვს.

უპირატესობა

ოპტიკური სტარტ-სიგნალი ყველა სარბენ ბილიკზე ერთდროულია... სტარტ-სიგნალს ყოველგვარი სიძნელის გარეშე ყველა სპორტსმენი ერთნაირად აღიქვამს.

არავითარი ხმაური, როგორც სხვა სექტორებიდან, ასევე მაყურებლებისა, გავლენას არ ახდენს სპორტსმენზე.

მსაჯი ქრონომეტრისტი ასეთ სასტარტო სიგნალს უკეთ აღიქვამს, ვიდრე პისტოლეტიდან გასროლას, ამიტომ უფრო სწრაფად რთავს წამმზომებს.

სტარტი ოპტიკურ სტარტ-სიგნალით ბევრად სამართლიანია — სპორტსმენები დროის დაუკარგავად იღებენ სტარტს.

ფოტო, ფილმ და ვიდეო ჩანაწერებში ადვილად ამოიცნობა ფალსტარტი. ოპტიკურ სტარტ-სიგნალს სპორტსმენიცა და მაყურებელიც თვალნათლივ ხედავს.

ოპტიკურ სტარტ-სიგნალს სპორტსმენი უფრო მზადყოფნაში ხვდება, ვიდრე აკუსტიკურ სტარტს, ვინაიდან მასზე მაყურებელთა ხმაური და სხვა გარეშე პირობები არ მოქმედებენ.

დანარჩენ სპორტსმენებს შედარებით სმენადაქვეითებულ სპორტსმენებთან აღარ ექნებათ უპირატესობა.

შესაძლო ნაკლოვანებები

სპორტსმენის, და საერთოდ, ყველა ადამიანის რეაქცია ოპტიკური სიგნალის პირობებში შედარებით ნელია, ვიდრე აკუსტიკურის დროს. ცნობილია, რომ რეაქციის დრო დამოკიდებულია ბგერის სიძლიერეზე და, რომ ოპტიკური გაღიზიანების დროს რეაქცია მეათასედი წამით უფრო ნელია.

მოცემულ პირობებში სტარტის მონაწილეთა სასტარტო ტექნიკა ცოტათი იცვლება. ნათურა სპორტსმენის სასტარტო ადგილიდან დაცილებულია 40-60 სანტიმეტრით, რაც აუცილებელს ხდის ზოგიერთი სპორტსმენის თავის დაჭერის მანერის შეცვლას.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, მძლეოსნობაში პისტოლეტის შეცვლა ოპტიკური სტარტ-სიგნალით ერთობ პროგრესული მოვლენაა.

ჰელმუტ კლიმერი.
გერმანულიდან თარგმნა
ბ. ლამბაშიძემ.

შესანიშნავია!

სვერდლოვსკში გაიმართა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ციგაობაში (სამ ასაკობრივ ჯგუფად). ასპარეზობაში შესანიშნავად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები, რომლებმაც საპრიზო ადგილების უმეტესობა მოიგეს.

ვაჟთა შორის ერთადგილიანებით დაშვებაში ჩემპიონი გახდა ფ. ქუმარიტაშვილი, ხოლო II ადგილზე გავიდა თ. ქუმარიტაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამ დუეტმა იმარჯვა, აგრეთვე, ორადგილიანი ციგებით დაშვებაშიც.

ჭაბუკებში ასევე ორმაგ წარმატებას მიაღწიეს დ. ქუმარიტაშვილმა და თ. გაგლოევმა, რომლებმაც ჯერ ერთადგილიანებით შეჯიბრებაში I და II ადგილები გაინაწილეს, ხოლო შემდეგ ორადგილიანებით უძლიერესის სახელი მოიგეს.

ქალთა შორის ქ. ჯეირანაშვილი II ადგილზე გავიდა. გოგონებში კი თ. თიბილოვამ I ადგილი დაისაკუთრა. II ადგილი დაიკავა თ. კოზანაშვილმა, რომელიც იუნიორთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა.

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა ა. ქუმარიტაშვილმა და ვ. მიქაბერიძემ.

ყველა ზემოდასახელებული ბაკურიანელი სპორტსმენი ჩაირიცხა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, რომელიც საკავშირო პირველობის მორიგ ეტაპზე იასპარეზებს.

მეხუთე ადგილზე

უფაში გაიმართა ნორჩ მოციგურავეთა საკავშირო შეჯიბრება „ბროლის ციგურების“ პრიზზე.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებიც 12 გუნდს შორის V ადგილზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებთა შემდეგ. აღსანიშნავია, რომ გასული წლის შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მეცხრე იყო.

ბიჭებში საერთო II ადგილი მოიპოვა თბილისელმა მოსწავლემ, 12 წლის ანდრეი ტოროსიანმა, რომელმაც მესამე შედეგები აჩვენა სრიალის ელემენტებსა და ცეკვებში.

გოგონებში 10 წლის ლია სამხარაძემ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა საჩვენებელ ცეკვებში, საერთო ჯამში კი მეოთხე იყო.

აღსანიშნავია აგრეთვე ნელი დვალიშვილის (საერთო VI ადგილი) და ნანა ელბაქიძის (საერთო VIII, ცეკვებში კი IV) გამოსვლა.

ქართველ სპორტსმენებს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ მწვრთნელები ლ. დოლიძე და ა. შამკულაშვილი, ქორეოგრაფი ი. მაჭარაძე.

რეკორდი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ძალოსანთა პირველობაზე ლვოვში მეორე ქვემძიმე წონის გროზნოელმა ათლეტმა ა. საიდულაევმა 225,5 კგ აჭრა და ნახევარი კილოგრამით „დაამძიმა“ მსოფლიოს რეკორდი. ორჭიდის ჯამში მან 400 კგ დააგროვა, რაც, აგრეთვე, 2,5 კილოგრამით აღემატება მსოფლიოს რეკორდს.

ყველაზე ლამაზი

თბილისის 27-ე ბაგა-ბაღი ყველაზე ლამაზია ქვეყნად!... იმიტომ, რომ მეია მასწავლებელმა ყველაზე კარგი სიმღერა იცის, ანა მასწავლებელმა — ყველაზე ლამაზი ზღაპრები, იამზე ხელმძღვანელმა — ყველაზე საინტერესო თამაშები.

პატარების დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება. მერე საუზმე და ისევ ფიზკულტურა.

ოთახში რიგრიგობით შემოდიან თითისტოლა გოგო-ბიჭები.

— ერთი — ორი! ერთი — ორი! იძახის ანა რაინაული და პატარებიც მასწავლებლის ხმას გამართული მიჰყვებიან.

მერე ერთიციდა გოგო-ბიჭები წრეს კრავენ და იწყება:

— ხელები ზევით! გაჭიმეთ მხრის სიგანეზე! დაუშვით!

ასი თვალი შესციცინებს ანა მასწავლებელს. გულდაგულ იმეორებენ მის მოძრაობებს. პატარა ხელებს ზევით ასწევენ, მერე კისერსაც წაიგრძელებენ და ბოლოს, ფეხის წვერებზეც აიწევიან, აქაოდა, ზუსტად შევასრულოთო ბრძანება.

მარტივ ვარჯიშებს უფრო რთული ილეთები მოსდევს. ხიდქვეშ გაძრომა, რგოლების ტრიალი, კიბეზე ცოცვა.

ყველა ვარჯიში რომელიმე საყვარელი თამაშით მთავრდება: კატა-თაგვობანა, ქორი და კრუხი...

პატარებს უფროსჯგუფელები ცვლიან. ნამდვილი „სპორტი“ მათთან იწყება. უამრავი თამაში იციან. ყველა მათგანი სპორტის რომელიმე სახეობის ძირითად პრინციპს ეყრდნობა. აღსაზრდელები ჯერ, მაგალითად, ხელით ბურთის ტარებას სწავლობენ, შემდეგ იმაზე მასწავლებელი რაიმე თამაშს აგებს მასზე და პატარებიც თანდათან ეუფლებიან კალათბურთის ელემენტებს.

— ამას წინათ „ლელოში“ ერთი წერილი წავიკითხე, — ამბობს ბაგა-ბაღის გამგე **ელენე ბოლდაშვილი**, — ავტორი გვირჩევდა ბაღებში სპორტის სხვადასხვა სახეობები დაგვენერგა: ზოგან მინი-ფეხბურთი, ზოგან მინი-კალათბურთი. ჩემი აზრით, ფიზკულტურა და სპორტი უმცროსი ასაკის ბავშვებში ძირითადად მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ სიჯანსაღეს, სხეულის ჰარმონიულ სრულყოფას უნდა ემსახურებოდეს. არამც და არამც არ უნდა გავიხადოთ მიზნად რაიმე კონკრეტულის გაღრმავება. ჩვენს ბავშვებს ისევე უნდა ჰქონდეთ განვითარებული ხელის კუნთები, როგორც სხეულის სხვა ნაწილები. როცა საქმე უმცროსი ასაკის ბავშვებს ეხება, მე მხოლოდ უნივერსალური ფიზკულტურის მომხრე ვარ.

ამიტომაც ნახავთ 27-ე ბაგა-ბაღში ათასგვარ ინვენტარს, იარაღებს, სათამაშოებს.

აღსაზრდელები არც ქართულ ეროვნულ თამაშობებს ივიწყებენ.

ფიზკულტურის დარბაზი პატარების ყველა სურვილს ვერ იტევს. მალე დათბება და ყველანი ეზოში გადაინაცვლებენ. სხვა თამაშობებს ეტლით რბოლაც დაემატება, ველოსიპედებით შეჯიბრებაც და კიდევ, ორიგინალური — „სკოლისაკენ“.

დარბაზში ისევ ჟრიამულია. ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან — ვინ მალე მიირბენს ხის ძელაკებამდე და კიდევ, ფინიშთან მისული ვინ უკეთ ააგებს ხის შენობას.

კნაჭა ბიჭი უკან იტოვებს მეტოქეს და პირველი იწყებს ძელაკების დაწყობას. ბიჭი წელში სწორდება — „ყველა სიძნელე“ დაძლეულია.

ხის ძელაკები მტკიცედ აწყვია ერთმანეთზე!

მ. მაზიაშვილი.



იზარდე, მწვანე ჯეჯილო!



ტელეტაიპის ლენტიდან

სოფია. კუბელმა მოფარიკავემ, პანამერიკული თამაშების ჩემპიონმა მ. ორტისმა გაიმარჯვა ხმლით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 9 ქვეყნის 50-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ფინალში ოთხი მოგებით ორტისმა გაუსწრო ისეთ ტიტულირებულ მეტოქეებს, როგორებიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი, მინსკელი ვ. სიდიაკი (3 გამარჯვება) და ცნობილი იტალიელი მოფარიკავე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. მაფეი (2).

კრისტიანსტადი. შვეციის ამ ქალაქში გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა ტრადიციულ ტურნირში — „ტოპ-12“ 35 წლის იუგოსლაველმა ვეტერანმა დ. შურბეკმა ჩამოიტოვა ევროპის პატარა ჩოგნის ყველა უძლიერესი ოსტატი. 11 შეხვედრიდან შურბეკმა 9 მოიგო.

ქალთა შორის პირველი იყო უნგრელი ჩოგბურთელი გ. საბო.

იტალია

XVIII ტურში „მილანი“ სტუმრად თამაშობდა „ასკოლისთან“. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც „მილანის“ მოიერიშე მცველმა მალდერამ გაიტანა (მალდერა შედეგიანობით ეჯიბრება თავისი კლუბის თავდამსხმელებს). „იუვენტუსმა“ მიიღო „კატანძარო“. ბეტეგამ, ტარდელიმ და კაბრინიმ დააწინაურეს ტურინის გუნდი და მხოლოდ მატჩის მიწურულში შეძლო „კატანძარომ“ ერთი ბურთის გაქვითვა — 3:1. „ინტერმა“ შინ იოლად დაამარცხა „ვერონა“ — 4:0. გოლები გაიტანეს ალტობელიმ (2), სკანციანიმ და მურარომ.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ატალანტა“ — „ლაციო“ 0:0, „აველინო“ — „ტორინო“ 1:1, „ფიორენტინა“ — „პერუჯა“ 1:1, „ლანეროსი“ — „ბოლონია“ 2:2, „რომა“ — „ნაპოლი“ 0:0.

XVIII ტურის შემდეგ „მილანის“ მდგომარეობა ძალზე მტკიცეა. მას 29 ქულა აქვს და 4 ქულით უსწრებს II ადგილზე მყოფ „პერუჯას“. 24-24 ქულა მოაგროვეს „ინტერმა“ და „ტორინომ“, 23 — „იუვენტუსმა“.

II ლიგაში კვლავინდებურად წინ არიან „უდინეზე“ (29 ქულა 19 თამაშიდან) და „კალიარი“ (28).

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

შოტლანდია

მიმდინარეობს ჩემპიონატის III წრე. XX ტურში გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი „დანდი იუნაიტედი“ და „გლაზგო რეინჯერსი“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა და თვით გახდნენ ერთპიროვნული ლიდერები. ახლა „გლაზგო რეინჯერსს“ 24 ქულა აქვს, „დანდი იუნაიტედს“ — 23, 22 ქულით III ადგილზეა „სენტ-მირენი“.

ბულგარეთი

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუნდებმა დაიწყეს ჩემპიონატის II წრე. ლიდერი, ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ სოფიაში ეთამაშა „ბეროეს“ (სტარა ზაგორა) და გაიმარჯვა — 2:0. „ლევსკი-სპარტაკს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა „სლოვენთან“. სტუმრებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 2:1.

ახლა ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამეს“ 24 ქულა აქვს, „ლევსკი-სპარტაკს“ — 22. 18-18 ქულა მოაგროვეს სოფიის „ლოკომოტივმა“, „მარეკმა“ (სტანკე დიმიტროვი) და „ბეროემ“ (სტარა ზაგორა).

საბერძნეთი

XIX ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა სალონიკში, სადაც პაოკ-მა მიიღო ლიდერი — აეკ-ი (ათენი) და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა — 2:1. ამან ძალიან შეუწყო ხელი სალონიკის „არისს“, რომელმაც სერესში გაიმარჯვა „პანსერაიკოსთან“ (1:0) და თვით გახდა ლიდერი. პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ მოუგო „კავალას“ — 1:0.

ახლა ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: „არისსა“ და „ოლიმპიაკოსს“ 31-31 ქულა აქვთ, აეკ-ს — 30. IV ადგილზე მყოფი პაოკ-ი 5 ქულით ჩამორჩება აეკ-ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

სეზონი ოკეანეს გაღმა იწყება

სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები თავის ახალ წინაოლიმპიურ სეზონს დაიწყებს საერთაშორისო შეხვედრებით ოკეანეს გაღმა, სადაც იგი გუშინ გაემგზავრა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამჯერად 3 მატჩი უნდა ჩაატარონ: 25 და 27 თებერვალს ისინი შეხვდებიან აშშ-ის უძლიერეს სტუდენტურ კლუბებს, ხოლო 3 მარტს ითამაშებენ კანადის ეროვნულ ნაკრებთან.

გუნდში ძლიერი ცენტრალური მოთამაშეები არიან — კიეველები ვ. ტკაჩენკო (220 სმ) და ა. ბელოსტენი (215), მოსკოველი ვ. ჟიგილიი (207) და თბილისელი ნ. დერიუგინი (206). თავდამსხმელთა როლში გამოვლენ მოსკოველები ა. მიშკინი და ა. ლოპატოვი, ლენინგრადელი ს. ტარაკანოვი და გუნდის დებიუტანტი, ქვეყნის ბოლო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის „სტატიბას“ (ვილნიუსი) ლიდერი ა. პავილონისი; დაცვაში ითამაშებენ მოსკოველები ს. ერიომინი და ი. ედეშკო, ლენინგრადელი გ. კაპუსტინი და კაუნასელი ვ. ხომიჩუსი.

— ამ მატჩებით, — თქვა საკ-დესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ, — ჩვენ ვიწყებთ მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც ივნისში გაიმართება იტალიაში და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებისთვის, რომელიც ორჯერ დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით. ამჯერად ახალგაზრდული გუნდი მიგვყავს, მის შემადგენლობაში არ არიან ისეთი გამოცდილი ვეტერანები, როგორებიცაა ს. ბელოვი, ა. ჟარმუხამედოვი და ა. სალნიკოვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ მათზე. ისინი გუნდში თავიანთ ადგილს იმ შემთხვევაში დაუთმობენ ახალგაზრდებს, თუ ეს უკანასკნელები მათზე ძლიერად ითამაშებენ. მათ შორის არიან ნიჭიერი კალათბურთელები, რომლებიც გვინდა ოლიმპიადა-80-ის წინ გამოვცადოთ სხვა ტურნირებში. (საკდესი).

22 თებერვალს

შედგება თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკებისთვის — თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში (კონსტიტუციის ქ. № 6). დას. 18 ს.

ფიზკულტურის მასწავლებლებისთვის — მასწავლებელთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3). დას. 12 ს.

მწვრთნელებისთვის — ფიზკულტურის ინსტიტუტში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). დას. 17 ს.

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის წარმომადგენლებისთვის — ცენტრალურ საწყლოსნო კომპლექსზე (ი. სტალინის სახელობის სანაპირო). დას. 17. ს.

რექტორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 13473